სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080135928421316

26 / დეკემბერი / 2016 წ.

3800

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვების თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 22 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ SMP160003586 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტ(ებ)ი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ადმინისტრაციული შენობის (გორგასლის ქ. №75) და მასში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ნივთების დაცვის მომსახურების (CPV-79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმწოდებელმა ორგანიზაციამ ცეცხლსასროლი იარაღით უნდა დაიცვას ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა/ქონება ქურდობის, ყაჩაღობის, განზრახ განადგურებისაგან ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან. აგრეთვე მიმწოდებელი პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ დებულებისა და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, ვინაიდან, როგორც მომართვაში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის № 266 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ დებულებისა და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“. სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა აცილებას. ამ მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ასევე, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ SMP160003586 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე